

სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი

SAVLE TSERETELI INSTITUTE OF PHILOSOPHY

მაცნე

MATSNE

ფილოსოფია

PHILOSOPHY

სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო
ჟურნალი

Scientific Journal by Savle Tsereteli Institute of Philosophy

№1

2008

თბილისი

TBILISI

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დემი ღუმბაქი

კაპიტალის შორის საბნობრიობა.

ინგო ელბე: „მარქსი დასავლეთში.

მარქსის ახალი წაკითხვა გფრ-ში 1965 წლიდან“¹

გამუდმებით ცდილობენ მარქსის დაეიწყებას და აღორძინებას, ან მიჩქმალვას, ჩაფვლას ათიათასობით გვერდის სიმძიმის ქვეშ იმის შესახებ, თუ როგორ დაამარცხა ერთხელ და სამუდამოდ „სიცოცხლემ“, თუ „საზოგადოებამ“ „ისტორია“; ანდა, გამოაბრწყინებინონ მას ახალი, ყოვლისმომცველი ნათებით, როგორც წინასწარმეტყველს „რევოლუციური სუბიექტისა“, ბოლოს და ბოლოს, უძლიერესი ნებელობითი აქტით, „ნამდვილად“ ვითომდა თავის ხელში რომ აიღებს ისტორიის სვლას.

ასეთი გინდ სასოწარკვეთილი, გინდ საბოლოო რეცეფციის მაგალითების პოვნა – თუკი მას საერთოდ აქვს ადგილი ე.წ. „აღმოსავლეთში“, ანუ რეცენზირებული წიგნის პერსპექტივიდან: ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში – ძნელი არ იქნებოდა. ყველაზე ხშირად კი ნებისმიერი რეცეფციის ადგილს იკავებს უბრალო დემონსტრირება რაღაც საპლაკატო მარქსისა. მას ან სწრაფ-სწრაფად „მოუჩენენ ხოლმე თავის ადგილს“, მოძველებული თეორიის ისტორიულ კონტექსტში, რომელსაც, ვითომდა, უკეთეს შემთხვევაში, მე-19 საუკუნის კაპიტალიზმისათვის თუ ექნებოდა მნიშვნელობა; ანდა, პირიქით, ბრმა სიამაყით აღმართავენ პირველსაწყისად „დიად-მარადიულ“ მწკრივში „ენგელსი – ლენინი – სტალინი“. ხოლო საკითხი იმის თაობაზე, თუ რატომ გაიყინა მარქსის სურათი ასეთი კარიკატურული სახით, საერთოდ იშვიათად თუ ისმის, იქნება ეს „ბურჟუაზიულ“ თეორიებში, დასავლეთსა და აღმოსავლეთშიც, თუ ნეომარქსისტულ, ან ორთოდოქსულ სტალინისტურ თეორიებში.

ხოლო, თუკი აღმოჩნდება, რომ მარქსის ნაშრომები თავად იძლევიან საშუალებას, გავაანალიზოთ მიზეზები ამ გაუგებრობისა და რედუცირებული შეჭყლეთისა მისი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ერთიან, სრულ სურათში, მაშინ უკვე ეს იქნებოდა დამაჯერებელი არგუმენტი იმისა, მივაქციოთ ყურადღება მათ ისეთ რეკონსტრუქციასა პრექტებს, რომლებიც, განსხვავებით, მაგალითად, იურგენ ჰაბერმასის მიერ 1960-70-იან წლებში განხორციელებულთაგან, არ აბიჯებენ ზღვარს კონსტრუქციისაკენ – მასადამე, არ ასინთეზირებენ ანალიტიკურად დანაწევრებულ ელემენტებს იმგვარი სახით, რომ უკვე დიდად სცილდებიან თავად მარქსის ნაშრომებში მოცემულის ფარგლებს.

სწორედ ასეთ, „მარქსის (და არა ენგელსის, ლენინისა, თუ სხვ.) ერთგულ“ რეკონსტრუქციას ექსტენსიურ გადმოცემას გვთავაზობს ფილოსოფოსი ინგო ელბე თავის ახალ წიგნში „მარქსი დასავლეთში. მარქსის ახალი წაკითხვა გფრ-ში 1965 წლიდან“. იგი ზედმიწევნით, თითქოს ფიჭის ათასობით ბოჭკოს თაფლით ამომყვანი ფუტკრის შრომით, ხაზავს კონტურებს ნაშრომთა იმ არაერთგვაროვანი ერთობლიობისა, რომელმაც თავისი სახელწოდება „მარქსის ახალი წაკითხვა“ (neue Marx-Lektüre) მიიღო ერთი სასხვათაშორისო სახელწოდებიდან საკუთარი შრომებისა ჰანს-გეორგ ბაკჰაუზის მიერ (თეოდორ ვ. ადორნოს მოსწავლე). ის, რომ ამ ნაშრომებში მარქსი უბრალოდ ახლიდან კი არა, ახლებურადაც იკითხება, ცხადია, ვერ იქნება ნაჩვენები უბადალოდ ახალი იარლიყის ნომინალური გამოგონებით. აუცილებელია გადმოიცეს იმ მეთოდოლოგიურ, თეორიულ და საგნობრივ კონტექსტთა კავშირი, რომლებიც ერთიანდებიან ამ სხვა მარქსისტულ ფორმაციათაგან განსხვავებულ, თვითმყოფად პარადიგმაში.

ელბე, მასალით მდიდარი ამგვარი გადმოცემისას, შემოიფარგლება გასული საუკუნის სტუდენტური მოძრაობის დასასრულს გერმანიაში წამოწყებული მარქსის ახალი დამუშავების რამდენიმე ცენტრალური ასპექტით. იგი გადმოსცემს მარქსის ღირებულების თეორიის მეთოდოლოგიური და საგნობრივი საფუძვლების ადეკვატური გაგების შესახებ გამართული დებატების ძირითად ნიშნებს, ასევე, მათგან გამომდი-

¹ იხ. Ingo Elbe, *Marx im Westen. Die neue Marx-Lektüre in der Bundesrepublik seit 1965*, Berlin: Akademie Verlag, 2008, 643 Seiten, ISBN 3050044705, EUR 49,80.

ენგელსი ერთ-ერთი პირველი განმარტავს „კაპიტალის“ საწყის, ცენტრალურ თავებს ერთდროულად როგორც ლოგიკურსა და ისტორიულ გადმოცემას – ე.წ. „საქონლის უბრალო გაცვლა-გამოცვლიდან“ სულ კაპიტალისტური დაქირავებული შრომის ჩათვლით – „ოღონდ ისტორიული ფორმისა და ხელისშემშლელ შემთხვევითობათა ჩამოშორებით“ (ენგელსი). მარქსის გადმოცემის სახეობა, კატეგორიათა თანმიმდევრობა პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკაში – საქონელი, ღირებულების მარტივი, განვითარებული, ზოგადი ფორმა, ფული, კაპიტალი – აღმოჩნდება სხვა არაფერი, თუ არა უბრალო „სარკისებრი არეკვლა ისტორიული პროცესისა ... აბსტრაქტული ფორმით“. ფულადი ფორმის გენეზისი განიხილება როგორც „ნამდვილი პროცესის“ აღწერა, „რომელიც რაღაც დროში ნამდვილად განხორციელდა“ და არა როგორც „აბსტრაქტული აზროვნებითი პროცესი, მხოლოდ ჩვენს თავში რომ მიმდინარეობს“ (ენგელსი). ენგელსს უხეშად დაჰყავს ისტორიული მატერიალიზმი ვულგარულ ემპირიზმსა და ისტორიციზმზე და ამით აფუძნებს სწორედ იმ ე.წ. ლოგიკურ-ისტორიულ მეთოდს, რომელსაც უკვე კაუცკი, ჰილფერდინგი, ლენინი და სხვ. განამტკიცებენ. ელბეს თანახმად, იგი გვხვდება არა მარტო პარტიულ მარქსიზმ-ლენინიზმში, არამედ, მაგალითად, ერნესტ მანდელის არაოფიციალურ „დასავლურ მარქსიზმსა“ და ვოლფგანგ ფრიტც ჰაუგის „პრაქტიკის ფილოსოფიის“ თანამედროვე შრომებშიც კი.

ამგვარად ჩნდება „კაპიტალიზმი“, მარქსის გადმოცემის დასაწყისში, უშუალო ემპირიული რეფერენტები. ღირებულების ფორმის ანალიზი ვითომდა ორი საქონელთმფლობელის შემთხვევითი, უფულო ინტერაქციით იწყება, ხოლო ფულადი ფორმის შემოტანა კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე ხდება – გარეგანი, დამხმარე საშუალების სახით ამ საქონელთა გაცვლა-გამოცვლაში, რომელთა ღირებულებაც მათ მფლობელთა მიერ გაზრებულად განიზომება საშუალო დროით. კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორაა შესაძლებელი კერძო, შრომის განაწილებაზე დაფუძნებულ წარმოების პირობებთან იმის შეთანხმება, რომ ყოველი საქონელი წარმოადგენს თავის საკუთარ შრომით ფულს, ელბეს თანახმად, ენგელსს საერთოდ არ ებაძება. ენგელსიც იმას აკეთებს, რასაც, როგორც მოგვიანებით აჩვენებს მარქსის ახალი წაკითხვა, ეს უკანასკნელი უკრიტიკებს ადამ სმიტის კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიკას: იგი პროექციას უკეთებს მხოლოდ კაპიტალიზმში წარმოშობილ ილუზიას საკუთარი შრომის მეშვეობით მისაკუთრების თაობაზე წარსულში და ყურადღების არიდან კარგავს აუცილებელ კავშირს ღირებულებასა და ღირებულების ფორმას შორის. ენგელსის თანახმად, მარქსიზმის მეშვეობით, როგორც მეცნიერებისა ობიექტურ სოციალურ კანონზომიერებათა შესახებ, კაპიტალიზმის ანარქიული, არაკონტროლირებული საზოგადოებრივი აუცილებლობა მხოლოდ გეგმაზომიერად იქნება მართული და გათვითცნობიერებულად გამოყენებული სოციალიზმში. იქმნება ე.წ. სოციალისტური პოლიტიკური ეკონომიკა (რობერტ კურცი მას „ადიექტიურ“, ე.ი. „ზედსართაულ“ „სოციალიზმს“ უწოდებს), რომელიც ხასიათდება არა კაპიტალისტურ ფორმალურ განსაზღვრებათა გაქრობით, არამედ მხოლოდ მათი ალტერნატიული გამოყენებით. მის კონცეფციაში თვალში გვხვდება სოციალური ფორმის მნიშვნელობის გაგების სრული ნაკლებობა, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია, როგორც ამას გვიჩვენებს ახალი წაკითხვა მარქსისა, მის კრიტიკაში.

შინაარსზე ფიქსირება, საზოგადოებრივი ფორმების შესაფერი ანალიზის გარეშე, იძლევა ტრადიციული მარქსიზმის პარადიგმაში ბატონობისა და სახელმწიფოს განსაზღვრებასაც. მას გადმოაქვს კაპიტალიზმამდელი სოციალური ფორმაციებიდან პერსონალური კლასობრივი ძალაუფლების განსაზღვრება. ამით მას კლასობრივი ბატონობის ანონიმური, არაპერსონალური ფორმა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში ინსტიტუციონალიზაციას განიცდის – სახელმწიფოში, როგორც ე.წ. საჯარო ძალაუფლებაში – ცარიელ იდეოლოგიურ ილუზიაზე დაჰყავს. ეს ილუზია განიმარტება მღვდელთა მოტყუების თეორიის სტილში შენიღბვითა ტაქტიკების შედეგად. გვიანდელმა ორთოდოქსიამ ბოლომდე განაგრძო ეს ინსტრუმენტალისტური თვალთახედვა, როცა ლენინმა თავის „სახელმწიფო და რევოლუციაში“ შეცდომით განსაზღვრა სახელმწიფო, როგორც „კაპიტალისტების“, და არა „იდეალური საერთო კაპიტალისტის“ სახელმწიფო, სამართლის ფორმის მეშვეობით, კერძო მეწარმის საკუთრების დამცავის სახით ბატონობის არაპერსონალურ ურთიერთობებს რომ აზორციელებს. ლენინიზმს, შესაბამისად, უთითებს ელბე, არ შეუძლია გასცეს პასუხი კითხვას, რომელიც მას პირველად დაუსვა ჯერ კიდევ ევგენი პაშუკანისმა, ახალ საბჭოთა სამართალზე მომუშავე მარქსისტმა მეცნიერმა – 1937 წელს დახვრეტილმა: რატომ არ იქმნება სახელმწიფო ძალაუფლების აპარატი გაბატონებული კლასის კერძო აპარატის სახით? რატომ ემიჯნება იგი ამ უკანასკნელს და ღებულობს არაპირადული, საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი საჯარო ძალაუფ-

ლების აპარატის სახეს? კაშუკანისის შრომები სამართლის ფორმის მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოსათვის მოგვიანებით იქცნენ წინამორბედად დებატებისა ე.წ. სახელმწიფოს გამოყვანის (დედუქციის) შესახებ მარქსის ახალი წაკითხვის ფარგლებში. 1970-იანი წლებიდან მოყოლებული, ისინი მიმდინარეობდნენ ვოლფგანგ მიულერის, ქრისტელ ნოიზის, „პროექტი კლასობრივი ანალიზის“, ბერნარდ ბლანკის, დიტერ ლეპლესა და სხვების მონაწილეობით და მეორე თავში აღიწერებიან (319-427).

ტრადიციული მარქსიზმის პარადიგმა, ავტორების სახით, როგორცაა ბერნშტეინი, ლაფარგი, მერინგი პირველი თაობიდან და ტროცკი, ლუქსემბურგი, ბუხარინი და სხვ. მეორე თაობიდან, ელბეს მიერ ხასიათდება როგორც „მხოლოდ ჭორი მარქსის შესახებ“ (24). იგი ფაქტობრივად მარქსის წაკითხვის ეჭვგარეშე ფორმად 1920-იან წლებში ე.წ. „დასავლური მარქსიზმების“ წარმოშობამდე რჩებოდა. დასავლური მარქსიზმი არის რეაქტია მუშათა მოძრაობის კრიზისზე პირველი მსოფლიო ომის, მეორე ინტერნაციონალის ნგრევაზე ე.წ. სამშობლოს დაცვის პოლიტიკის შედეგად, შუა და სამხრეთ ევროპაში რევოლუციების კრახით დასრულებაზე, ფაშისტური ძალების წარმოქმნასა და სხვ. მათი პირველი პროტაგონისტები არიან გეორგ ლუკაჩი და კარლ კორში. ისტორიული მატერიალიზმის, როგორც მჭკრეტელობითი მსოფლმხედველობის ონტოლოგიზაციისაგან განსხვავებით, ლუკაჩს მარქსისეული მიდგომა ესმის საზოგადოებრივი პრაქტიკის კრიტიკულ-რევოლუციურ თეორიად. ისტორიულ პროგრესიაში ე.წ. ობიექტური განვითარების კანონების შესახებ, სციენტისტური დისკურსის წინააღმდეგ აყენებენ გასაგნებული ცნობიერების იდეოლოგიის კრიტიკას, ე.წ. მეორე ბუნებად გაყინული წარმოების კაპიტალისტური წესის გაშიფვრას, როგორც სოციალური პრაქტიკის ისტორიულ-სპეციფიკური ფორმებისა, და რევოლუციის ხაზგასმას, როგორც პრაქტიკული სუბიექტურობის კრიტიკული აქტისა.

რევოლუციაზე სტრატეგიულ ორიენტაციას დასავლურ მარქსიზმში სამაგალითოდ აკრიტიკებს ანტონიო გრამში თავის „ციხის რვეულებში“. მესამე ინტერნაციონალის ეტატიზმის საპირისპიროდ, იგი წამოაყენებს თავის ჰეგემონიის თეორიას: დასავლურ სოციალურ ფორმაციებში სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს აპარატთა იმ ლაბირინთულ სტრუქტურას, რომელიც წარმოქმნის აზროვნებისა და ქმედების წესებს და ფლობს უნარს, შეინარჩუნოს ინერცია ფართომასშტაბიან პოლიტიკურ მოქმედებათა პირისპირაც. თუმცა, ლუკაჩი და გრამში ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ექსკლუზიურად პროლეტარიატის პოზიციიდან დაფუძნებული რევოლუციის გაგებისადმი ერთგულებას.

მხოლოდ ფრანკფურტის სოციალური კვლევის ინსტიტუტში, 1931 წელს, დირექტორობის მაქს ჰორკჰაიმერის ხელში გადასვლის შემდეგ, ხორციელდება იმ ლტოლვის სტრუქტურათა ასევე სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის მცდელობაც, რომელთაც ეფუძნება ე.წ. არაონივრული საზოგადოების რეპროდუქცია, განსაკუთრებით ავტორიტარული და ანტისემიტური განწყობების სახით. აქ მიღწეულ დონეს რეფლექსიისა, ელბეს შეფასებით, ვეღარ გადაუსწრო დასავლური მარქსიზმის ვერც ერთმა სხვა წარმომადგენელმა. იგი ემშვიდობება პროლეტარიატის იმაგინაციური კლასობრივი ცნობიერების სარწმუნო საყრდენს. „როგორც იქნა, ანალიზდება ემპირიული კლასობრივი ცნობიერება, როგორც ერთადერთი ნამდვილი და, ამასთან, ყურადღება ექცევა სოციალური პრაქტიკის ე.წ. ირაციონალურ, ემოციურ განზომილებას. კრიტიკული თეორიის უსაყრდენობის თეორიული წვდომა ამავე დროს ხდება აღიარებად ემანსიპაციური თეორიისა და რევოლუციური თვალსაზრისით განხორციელებული პრაქტიკის მზარდი გაუშუალებლობის ისტორიული პროცესისა: ერთ ქვეყანაში სოციალიზმის პროპაგანდასთან, დასავლურ კომუნისტურ პარტიათა ბოლშევიზაციასთან და მარქსიზმ-ლენინიზმის მესამე ინტერნაციონალის წამყვანი იდეოლოგიის სახით დაწესებასთან ერთად იწყება დასავლური მარქსიზმისათვის დამახასიათებელი იზოლაციაც მისი წარმომადგენლებისა“ (27). მართალია, მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმის ეს ფორმაცია ინტელექტუალური განვითარების პროცესით გამოირჩევა, ისიც შევიწროებულად მიმართავს მარქსის რეციპირებას. ბჭობა პოლიტიკისა და სახელმწიფოს თეორიის შესახებ არ მიმდინარეობს, ღირებულების თეორია განიხილება მხოლოდ შერჩევითად, ხოლო პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკაში დომინირებს „აუღიარებელი ორთოდოქსია“ (ჰაბერმასი), აჯამებს ავტორი.

სწორედ ჰორკჰაიმერისა და აღორნოს მოსწავლეებისგან, ბაკაუზისა და ჰელმუტ რაიხელტისგან იღებს სათავეს ერთ-ერთი პირველი დისკუსიათაგანი მარქსის ახალი წაკითხვისა. ამ პარადიგმის საწყისთა ვიწრო წრეს 1960-იან წლებში, აკადემიურ კონტექსტში, ელბე მიაკუთვნებს თეორეტიკოსებს, მარგა-

რეტ ვირთს, იოახიმ პირშს, ელმარ ალტფატერს, ჰაიდე გერსტენბერგს და სხვ., ჟურნალებიდან გამოყოფს „პროკლას“, „სოციალისტიშე პოლიტიკს“, „გეზელშაფტს“, „ლევიათანს“ და „მერვერტს“. უფრო გვიანდელი ავტორებიდან მის დამუშავებაში მონაწილეობენ: ჰაინც კიტშტაინერი, დიტერ ვოლფი, მიხაელ ჰაინრიხი, „პროექტი კლასობრივი ანალიზი“, ფრიდერ ოტო ვოლფი, შტეფან ბროიერი, ვ. მ. ბადერი და სხვ.

მარქსის ახალი წაკითხვის პარადიგმატულ ბირთვად იქცა მარქსის მიერ კაპიტალისტური საზოგადოების ფორმათა ისტორიციუსტული და ემპირიული წაკითხვის კრიტიკა. მისი ტრადირება ხდებოდა არათუ ჯერ კიდევ დასავლურ მარქსიზმში, არამედ ნეომარქსიზმის მრავალ წარმომადგენელთანაც. პოზიტიურად ეს ნიშნავს, როგორც წერს ელბე, რომ კრიტიკა იძენს პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისა და სახელმწიფოსა და რევოლუციის თეორიათა სფეროში მისი იმპლიკაციების რეკონსტრუქციის ფორმას. დებატების ძირითადი მიმართულებებია: ღირებულების თეორიაში სუბსტანციალიზმის, სახელმწიფოს კონცეფციაში მანიპულაციის თეორიისა და ინსტრუმენტალიზმის და პოლიტიკონომიკის კრიტიკის ისეთი ინტერპრეტაციების უკუგდება, რომლებიც ეყრდნობიან მუშათა მოძრაობას, ან ე.წ. შრომის ონტოლოგიას, ან სულაც, ხდება საერთოდ რევოლუციის თეორიის უკუგდება. ამგვარად, მარქსის ახალი წაკითხვა იწყებს *სოციალურის ფორმის თეორიის* პროგრამის დამუშავებას, რომელსაც ორთოდოქსია საუკეთესო შემთხვევაში პროკლამირებას უკეთებდა, მაგრამ მისი საკუთარი საშუალებებით განხორციელებას ვერც კი შეძლებდა, როგორც გვიჩვენებს ელბე.

ობიექტის კონცეფციის თვალსაზრისით, ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება მარქსის საქონლური ფეტიშიზმის თეორიის გაგებას. მის ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ ადეკვატურ რეკონსტრუქციას იძლევა საბჭოთა ეკონომისტი ისააკ რუბინი, 1920-იან წლებში. იგი ისევე, როგორც პაშუკანისი, ახალი პარადიგმის წინამორბედა. მისი ნაშრომების მეტ-ნაკლებად ფართო რეცეფცია დაიწყო მხოლოდ 1960-იან წლებში. შესაბამისად, რუბინი არათუ უბრალოდ არ შევიდა მარქსიზმ-ლენინიზმის ოფიციალურ კანონში, 1930-იან წლებში იგი იქნა დაპატიმრებული, რათა გამოეძალათ ჩვენება მარქს-ენგელსის ინსტიტუტის დირექტორის, დავიდ რიაზანოვის წინააღმდეგ, ხოლო 1937 წელს, რუბინი ისევე, როგორც პაშუკანისი, რეპრესირებულ იქნა.

პრობლემას წარმოადგენს კაპიტალიზმის ეკონომიკური ფორმების დაფუძნების გატარება ნატურალიზაციის სცილასა და ჰეგელის კვალად სოციალური ფორმების ცნობიერებაზე უკან დაყვანის ქარიზდას შორის. პირველს, ნატურალიზაციას, ექვემდებარება რა კაპიტალიზმში სოციალური ურთიერთობების ფეტიშიზირებულ ფორმებს, ახორციელებს არა მარტო პოლიტიკური ეკონომიკის კლასიკა (და ნეოკლასიკაც), არამედ ტრადიციულიც და დასავლური მარქსიზმებიც. მეორე იძლევა ან სოციალური ფორმების ჰიპოსტაზირებას, ან მათ სუბიექტივისტურ გათხელებას სიმბოლური ინტერაქციონიზმისა, თუ რაიმე სხვა, არასტრუქტურული ქმედების თეორიების სახით. როგორც გვიჩვენებს ელბე, ამ დილემის გადაწყვეტა შეუძლებელია მარქსთან დიალექტიკური გადმოცემის, როგორც „თავისებური ლოგიკის თავისებური გადმოცემის“ მეთოდოლოგიის ადეკვატური რეფლექსიის გარეშე. დისკუსია კაპიტალიზმის კატეგორიებისათვის ობიექტისათვის შესაბამისი ლოგიკურად-თანმიმდევრული სახის მიცემის შესახებ, როგორც სტრუქტურულ-სინქრონიული, ურთიერთგამაშუალებელი სოციალური ფორმების სასრული სისტემისა, წარმოდგენილია ყველაზე ვრცელ თავში: „ლოგიკურის, ისტორიულის, დიალექტიკურის“ შესახებ (88-184). ამ დებატებს, რომლებიც იძლევიან ცოცხალ წარმოდგენას მარქსის ახალი წაკითხვისას მიმდინარე ანალიზების შესახებ, ელბე დაწვრილებით გადმოგვცემს სიმონ-შეფერის, ნარსკის, შტაინფორტის, ანდრე-ას არნდტის, ლუჩიო კოლეტის, დიტერ ვოლფის, ჰელმუტ ბრენტელის, მიხაელ ჰაინრიხისა და სხვ. შრომების გამოკვლევის საფუძველზე.

მარქსის ახალი წაკითხვის სახასიათო ნიშანი, ობიექტის თეორიასთან მიმართებით, ისევე, როგორც ძირითადი სირთულე სხვა პარადიგმათა გაგებაში, არის აქცენტი კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოციალურ ურთიერთობათა საგნობრივ გაშუალებულობაზე. დასავლურ მარქსიზმს კაპიტალისტური გაშუალების ფორმა ჯერ კიდევ ესმის, როგორც საგნობრივად შენიღბული ინტერპერსონალური ურთიერთობა. ამის საწინააღმდეგოდ, ახალი წაკითხვის ავანსირებული წარმომადგენლები სწვდებიან კაპიტალისტურ ფორმებს, როგორც შრომათა ნამდვილ საგნობრივ გაშუალებას. ისააკ რუბინი თავის „კვლევებში მარქსის ღირებულების თეორიის შესახებ“ (1924) წერდა: „საქონლურ საზოგადოებაში ნივთი არ არის მხოლოდ

„საიდუმლო საზოგადოებრივი ეროვლივი“ ... უბრალოდ „სარჩული“, რომლის უკანაც იმალება ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა. ნივთი – არის მაშუალებელი საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, ხოლო ნივთთა მოძრაობა განუწყვეტელი არის დაკავშირებული ადამიანთა საწარმოო ურთიერთობების დამყარებასა და განხორციელებასთან ... ნივთთა მოძრაობა – რამდენადაც ისინი იძენენ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ თვისებებს ღირებულებისა, ფულისა და ა.შ. – არა მარტო გამოხატავს ადამიანთა ურთიერთობებს, არამედ იგი ქმნის მათ.“

როგორც წერს ელბე ამ სფეროში მარქსის ახალი წაკითხვის შედეგების გადმოცემისას, კაპიტალისტური ფორმების მზაკრული ხასიათი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ წარმოადგენს გასაგებებულ ურთიერთობებს, რომლებიც სინამდვილეში არიან ადამიანური ურთიერთობები. პირიქით, იგი იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარუდგენს „ინდივიდებს მათ წინაშე მდგომი საზოგადოებრივი კონტექსტის ობიექტივაციებს *ფეტიშიზებული და გასაგებებული სახით*“ (რაიხელტი). „კაპიტალისტური ფორმების უბრალო არსებობით აღიმართება შინაგანი ბარიერი მოქმედებისა და არჩევანის თავისუფლებისა, რომელიც სწორედ რომ არ აძლევს საშუალებას ამ ფორმებს, გამოვლინდნენ, როგორც ადამიანთა გარდაქმნის კომპეტენციის ქვეშ მყოფნი, არამედ როგორც ადამიანური საზოგადოების კონსტიტუირების ბუნებრივი პირობები, ანუ ე.წ. სამართლიანი ფორმები სოციალური თანაარსებობისა („შრომის ფასი“/„სამართლიანი ხელფასი“ და ა.შ.)“ (598). დებატებში რევოლუციის თეორიის შესახებ, რომელნიც აღიწერებიან ბოლო თავში „რევოლუციის თეორიის კრიზისი“ (444-546), ეს საგნობრივი ვითარება ეხმარება ამავე დროს იმის ახსნას, თუ რატომ აღიარებს მუშათა კლასიც კაპიტალისტურ ფორმებს ბუნებრივ თვისებებად.

ელბეს წიგნი დაწერილია ურთიერთობათა დეზილუზიონიზაციის იმავე განმანათლებლური ინტერესიდან გამომდინარე, რაც ამოძრავებს თავად მარქსის ახალ წაკითხვას გერმანიის კონტექსტში. ვისაც აინტერესებს უკანასკნელი წლების მისი დისკუსიებისა და ძირეული რეკონსტრუქციების გადმოცემა, რომელიც აყენებს პრეტენზიას აღწერის ექსტენსიურობაზე, ლოგიკური კავშირების ინტენსიურობასა, შინაარსობრივ სიზუსტესა და არგუმენტაციულ დამაჯერებლობაზე, მათთვის ეს წიგნი იქნება დიდი მონაკოვარი. მრავალი ათწლეულების განმავლობაში, როგორც ოფიციალური პარტიულ-სახელმწიფოებრივი მარქსიზმი, ისე ანტიკომუნისტური, თანაბრად აყენებდნენ პრეტენზიას თითქმის ერთპიროვნულ ჰეგემონიაზე მარქსის გაგებისა. მის ახალ წაკითხვას ამოჰყავს ზედაპირზე არა მარტო ე.წ. ნამდვილი მარქსი; იგი იმის დანახვასაც უწყობს ხელს, რომ მრავალი თვალსაზრისით მისი პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკა უფრო აქტუალურია, ვიდრე ეს წარმოუდგენია ჩვეულ „სასოწარკვეთილ“ თუ „საბოლოო“ განხილვებს.

DEVI DUMBADZE

OBJECTIVITY OF THE CAPITAL FORM.
INGO ELBE „MARX IN THE WEST.“

THE NEW READING OF MARX IN THE FEDERAL REPUBLIC OF GERMANY SINCE 1965“

Summary

In this review the work of philosopher Ingo Elbe „Marx in the West. The New Reading of Marx in the Federal Republic of Germany since 1965“ (Akademie Verlag: Berlin 2008, 643 pp.) is appreciated to be a profound reconstruction of the recent debates on the critique of the political economy of Marx in German-speaking research. Elbe uncovers the rich material of three main threads of discussions since the 1960 in a comprehensive way: the methodological debates on the dialectics and the object of the theory of value, the so-called debate on the „deduction of the state form“ and the crisis in the theory of revolution. Elbe reconstructs and criticizes in detail the argumentations of numerous works and authors thus working out the shortcomings in the previous receptions of Marx by the historically two most influential readings: the official party and state Marxism (in its different forms) and the dissident Western Marxism (Korsch, Lukács, the Frankfurt School, Gramsci and others). As a result Elbe demonstrates that the New Reading, started in the

1960 by Backhaus, Reichelt, Altvater, Gerstenberger, Blanke and carried on by Wolf, Kittsteiner, Heinrich, to name just a few, lays open why both the „traditional“ and the Western Marxisms on the one hand and the anticommunism on the other were fundamentally misinterpreting Marx concerning the above-mentioned main threads. One specificity of the New Reading discussed briefly in the review is the reconstruction of the fundamentals of Marx' „social theory of forms“ characteristic only to the capitalistic socialization based on „the social relation between persons mediated by the relation between things“ (MEW 23, S. 793). The systematic mystifications produced by the objectivity of the capital form were not adequately reflected in those most widely spread, but by no means most advanced, understandings, leading to the ontologization of the economic forms in the „scientific socialism“ on the one hand or their subjectivist dissolution in a mere „philosophy of praxis“ or theory of action on the other. Elbe manages to summarize the elaborate debates in an illuminative work with a quality of a reference book, giving strong impulses for further research on the social theory of forms in its different aspects indispensable for the critical theory of the modern society.